საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-308

17/03/2021

ქ. თბილისი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჰერეთისკარის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა თერმული წყლის (წელიწადში 474 500 მ³) მოპოვებაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ, გზშ-ის საჭიროების დადგენის მიზნით, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჰერეთისკარის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული N5 ჭაბურღილიდან მიწისქვეშა თერმული წყლის მოპოვების სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სალიცენზიო ობიექტი მდებარეობს ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჰერეთისკარის მიმდებარედ. ჭაბურღილი N5 უკვე არსებულია და მისი GPS კოორდინატებია: X-590539.238, Y-4618901.263. ობიექტი განთავსებულია სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე, კახეთის ტყის მასივის კონტურში, თუმცა არ ფიქსირდება სახელმწიფო ტყის ფონდის დაცული ტერიტორიების კატეგორიაში. ჭაბურღილი ზღვის დონიდან მდებარეობს 210-215 მეტრზე და მისი სიღრმე შეადგენს 2250 მეტრს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, ჰერეთისკარის ჭაბურღილიდან მიწისქვეშა თერმული წყლის გამოყენება შესაძლებელია, როგორც ჰიგიენური, ისე სპორტული და გამაჯანსაღებელი მიზნებისთვის.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სალიცენზიო ობიექტი (ჭაბურღილი N5) განთავსებულია ვაკე რელიეფის მქონე ტერიტორიაზე. საინჟინრო-გეოლოგიური პირობების სირთულის მიხედვით, ობიექტის ტერიტორია მიეკუთვნება I (მარტივი) კატეგორიას. წიაღითსარგებლობის ობიექტისა და მიმდებარე ტერიტორიის გეოდინამიკური სიტუაცია სტაბილურია და ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი არ არის გართულებები. როგორც დოკუმენტაციაშია აღნიშნული, ჭაბურღილი საჭიროებს შემოღობვას და მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავებას. ამასთან თავმორთულობის მოწყობა-მოწესრიგებას, რათა აღიკვეთოს წყლის უმიზნოდ დაღვრა და მიმდებარე ტერიტორიის დაჭაობება.

სკრინინგის განცხადების თანდართული გეოსაინფორმაციო პაკეტის მიხედვით, წიაღითსარგებლობის ობიექტის ჰიდროლოგიური პოზიცია საქართველოს ტერიტორიის ჰიდროგეოლოგიური დარაიონების მიხედვით მიეკუთვნება ალაზნის დეპრესიას, ივრის არტეზიულ აუზს. ალაზნის სერიის ღრმა ჰორიზონტი, რომელიც გახსნილია თერმული ღრმა ჭაბურღილებით წარმოდგენილია ქვიშაქავებით, გრაველიტებით, ალევროლიტებით

და ალევრო-პელიტოლიტებით. ჭაბურღილის სანიტარული მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ხოლო წყლის ტემპერატურა 35-37 ^{0}C შეადგენს.

სალიცენზიო ობიექტი არ ფიქსირდება დაცული ტერიტორიების, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებთან სიახლოვეს, არც ტერიტორიაზე, სადაც გაბატონებულია წითელი ნუსხით დაფარული ხე-მცენარეები. ასევე, არ ფიქსირდება მჭიდროდ დასახლებულ ტერიტორიებთან და სხვა ობიექტებთან.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ჭაბურღილის განთავსების უბანზე საშიში გეოლოგიური პროცესები არ შეინიშნება. ამ მიზნით გაცემული ლიცენზია არ გამოიწვევს წყლის, ნიადაგის, მიწის დაბინძურებას, ნარჩენების წარმოქმნას, გარემოს დაბინძურებასა და ხმაურს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის საინფორმაციო დაფაზე. საზოგადოების მხრიდან აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადებით დგინდება, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჰერეთისკარის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა თერმული წყლის (წელიწადში 474 500 მ^3) მოპოვებას გარემოზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება არ ექნება.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის და ამავე კოდექსის II დანართის მე-2 პუნქტის 2.2 ქვეპუნქტის საფუძველზე,</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, სოფ. ჰერეთისკარის მიმდებარე ტერიტორიაზე მიწისქვეშა თერმული წყლის (წელიწადში 474 500 მ^3) მოპოვება **არ დაექვემდებაროს** გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს სსიპ წიაღის ეროვნულ სააგენტოს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს სსიპ წიაღის ეროვნული სააგენტოს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-

12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი